

# Willkommen Toppi!



გადიანი კაბინეტის ფოტო

# Helfen, bitte, uns!

## ზაზა და ატლანტამ ჩემპიონთან დააქუხეს



ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოუქსმა“, როგორც იქნა, მოიგო, სეზონში მესამედ. მაგრამ მთავარი ისაა, თუ ვინ და როგორ დაამარცხა. ამ მაჩანჩალამ თვით ჩემპიონ „სან ანტონიო სპურზს“ სძლია, ზაზა ფაჩულიამ კი, ვინც ბოლო თამაშებში ცოტა წაიფორხილა, ახლა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მისი მონაგარი — 19 ქულა და 13 მოხსნა — თვით „სპურზის“ ორი მთავარი მეფარის, ტიმ დანკანისა და რაშო ნესტეროვიჩის ერთად აღებულს სჯობს.

# კანკაპა რივალდოსთან? ოლიმპიკოსს მართველი სურს

პირიოსის „ოლიმპიკოსს“ ჯაბა კანკაპას გადაყვანა სურს — ეს უახლესი და, ცოტა არ იყოს, სენსაციური ინფორმაცია ბერძნულ ვებ-გვერდებზე ამოვიკითხეთ — საქართველოს ნაკრების 19 წლის ნახევარცენტრმა გასული სეზონი ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გაატარა, თუმცა ვერც მას და ვერც „ალანიას“ საქმეები ვერ აეწყობო.

ვლადიკავკაზელთა პრემიერლიგიდან გავარდნისთანავე აგორდა ხმები, კანკაპას „ზესტაფონი“ ან „დინამო“ გადაიბირებო. ვერაც არ არის გამორიცხული, ასეც მოხდეს და ჯაბა საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდეს, თუმცა „ოლიმპიკოსის“ ვარიანტმა ყველაფერი გადაწონა.

შესხენება რად გინდათ, „ოლიმპიკოსი“ საბერძნეთის საუკეთესო გუნდია, რივალიდომ და კომპანიამ უკვე დაასრულეს ევროტურნირებზე ბურთაობა და წარუმატებელმა თამაშმა „ოლიმპიკოსის“ ხელმძღვანელობა კონტინენტის შეცვლაზე დააფიქრა — ამბობენ, ამ გუნდს იანვარში ბევრი ფეხბურთელი დეტოვებს და ახლები მოვლენო. მათ შორის, ეგებ, კანკაპაც იყოს...

ილია ნანობაშვილი



გაბრიელ კატილიას ფოტო

# კიევი-თბილისი-დუბაი მართველების ტრანზიტ-ტრანსფერი?



ოთარ მარცვალაძე

„ვიტ ჯორჯიას“ თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე და „დინამოს“ ნახევარცენტრი კახა ალადაშვილი კიევიდან დაბრუნდნენ.

გეცოდინებათ, ეს ფეხბურთელები კიევის „დინამოში“ იყვნენ გასინჯვაზე. ერთი ამხანაგური მატჩიც ითამაშეს და, როგორც შევითვქვეთ, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დაუტოვეთათ იქაურებზე — იმ მატჩში ოთარმა გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც გააკეთა...

გადაწყვეტილი კი ვერჯერობით არაფერია — მარცვალაძეს და ალადაშვილის უკრაინელები დროებით დაემშვიდობნენ.

— სათქმელი ბევრიც არაფერი მაქვს. კიევიში ნახალწლევს უნდა ჩავიდეთ, გუნდს არაბეთში შეკრებაზე გავყვებით და ამის შემდეგ გაირკვევა ბევრი რამ — გვითხრა გუშინ ოთარ მარცვალაძემ.

კიეველები ახლა შევბუღებაში არიან და 5 იანვარს იკრიბებიან. მარცვალაძეც და ალადაშვილიც სწორედ მაშინ შეუერთდებიან გუნდს და 10 იანვარს შეკრებაზე დუბაიში გაჰყვებიან.

„დინამოს“ ახალ თავკაც ანატოლი დემიანენკოს თქმით, ქართველების ტრანსფერის საქმეც დუბაიდან დაბრუნების შემდეგ უნდა გადაწყდეს.

კახა ზალაგაბერიძე



კახა ალადაშვილი


გურამ დოღუშაშვილის ფოტო

# ბათუმში ფერისცვალებაა ფაზილენ და ფაზილენ, მოდიან და მოდიან

ყოველი სეზონის შესვენებისას ასე იყო და ახლაც ასეა — ქართულ კლუბებში ბლომად ტრანსფერები იჩარხება, მეორე წრეში ბევრ გუნდს ვერც იცნობთ. აი, კიდევ ერთი მაგალითი: „ბათუმიდან“ წაყვინდნენ ნიკა გუშარაშვილი, კახა სიღამონიძე, ვიტალი დარჩიძე, გიზო ჯეღლაძე, ბესიკ თედორაძე, ზაზა ზირაქიშვილი და გიორგი მიქაძე.

ასეა, „ბათუმში“ ახალი გუნდი კეთდება, გუნდის მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ კი, თბილისის „ლოკომოტივის“ რამდენიმე ფეხბურთელთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებასო. ამასობაში ზღვისპირულეებმა ერთი მოთამაშე უკვე თითქმის გადაიბირეს — „ბორჯომის“ ფორვარდი რევაზ ჯიქია.

ილია ნანობაშვილი



# ქინქლაძეს ორწლიანი შესთავაზეს

გააზრებლავს ყაზანის „რუბინი“ კონტრაქტს გიორგი ქინქლაძესთან? ამ საქმეს ბეჭედი ვერ არ დასმია, ახალი კი ის არის, რომ „რუბინმა“ 32 წლის ქინქლაძეს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ქინქლაძე ახლა მოსკოვშია და, როცა იქ შევეხებიან, გვითხრა, რომ ყველაფერი ერთ კვირაში გადაწყდება.

შეგახსენებთ, რომ ქინქლაძე ყაზანში სამიოდ თვის წინ გადავიდა კვიპროსული „ანართოსისიდან“ და მცირე გუნდის ლიდერად იქცა. მაშინ გიორგიმ სწორედ სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი...

გიორგი ჯორჯიას ფოტო

სვეტი

## ისტორია და ანექდოტი

გუშინ ჩამოვიდა კლაუს ტომპილერო.

ეს საინტერესო ამბავია, მაგრამ საკუთარი, გულშემატკივრული თავი იმაზე გამოვიჭირე, რომ ბევრად მეტი მუღამი მაშინ მქონდა, როცა პირველი უცხოელი მწვრთნელები ინიშნებოდნენ.

მათი ისტორიის გაგრძელება საქართველოს ნაკრებში სასაიმოვნო არ იყო. სულ იყო შეგრძნება, რომ იმ ორ კაცს, ბოსკამს და ფირესს, მეტის გაკეთება შეეძლოთ. ორივენი იწყებდნენ და ორივეს თვალსასერიო საქმე გამოუსდიოდა, ოღონდაც მერე მოხდებოდა რაღაც ფაქტურული ამბავი და აღარც გუნდი არსებობდა, აღარც მწვრთნელი. ასე კი ხდებოდა და, არ ვიცი, რატომ.

ჰოდა, შეიძლება ესეც მოქმედებს იმაზე, რომ იმგვარი იმედით და აჟიოტაჟით ვერ განეწყობა ჩემი გასიებული თამაში.

ისე კი, რა თქმა უნდა, მოსაწონი ამბავია, თუ ფედერაცია და გერმანელი მწვრთნელი მოლაპარაკებათა ლაბირინთებში არ გაიხლართებიან: როგორც ბოლო დროის ამბები გვაშინებს, საქმე ჩაიშლებაო.

საქართველოში იმდენი კარგი საქმე ჩაშლილია, რომ ეს ერთიც არავის გააკვირვებს, მაგრამ ასე მგონია, რომ უნდა მოხდეს რაღაც ისეთი, რაც იქნება ხანგრძლივი და სერიოზული.

სხვანაირად, უბრალოდ, აზრი არა აქვს.

არც ჩვენი ფეხბურთია ისეთი, მისი გენიალობა ორგანიზაციული სირთულეების გამო იჩაგრებოდეს და არც კლაუს ტომპილერია ისეთი მწვრთნელი, რომ ორ კვირაში დაითხოვოს, გინდა თუ არა, ეს თამაში უნდა მოგეგო.

თუ ისტორიები გამეორებას არ დაიწყებს, ძალიან კარგი იქნება.

თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენთან ისტორიები მეორდება, რადგან სულაც არაა ნამდვილი ისტორიები, არამედ რაღაც ამბავია და მორჩა. ზუსტად ისე, ერთიდაიგივე ანექდოტს რომ ჰყვები ბევრჯერ.


საერთოდ, დიდი ამოცანები ჩვენს პირობებში სისულელეა. სხვა საკითხია, რომ უნდა გრძნობდე წინსვლას.

აი, როგორც რაგბშია: მაგალითად, პორტუგალიამ ტონგასთან წააგო, მაგრამ გუნდი და მწვრთნელი კმაყოფილები იყვნენ, ეს ჩვენთვის მოგებას უდრისო. ანდა ჩვენებმა რომ ითამაშეს ინგლისთან მსოფლიოს თასზე.


რაგბში ასეა და რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ასეთი რამეების გავლა მოსალოდნელია. აი, მაგალითად, უკრაინაში რომ ჰქონდა თამაში ფირესს. ყველა კმაყოფილი და იმედიანი იყო. ოღონდაც, მერე ერთი წამი იყო და ყველაფერი დამთავრდა.

ჰოდა, ამ დამთავრების წინააღმდეგ იქნებ როგორღაც...

ამინდცი ისეთია, რომ ცეკვა-თამაში არ გამოდის.



# გგონი, უნდა გაგოვიდეს... ტოპიოლოგის STOP ხვალადა



**ჩამოვიდა!** საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი კლაუს ტოპიოლოგი გუშინ, ნამუდამად მუდღეურობისთან ერთად ჩამოფრინდა თბილისში. მერე იყო სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ დაბინავება, გუშინ კი, შუადღიდან, საქმიან-კულტურული პროგრამაც დაიწყო.

ჰერ კლაუსი მუდღეურობით საქართველოს ნაკრების ბაზას ესტუმრა, ჯერ შენობა დაათვალიერა, მერე კი აივანიდან მინდორსაც გადახედა. ერთი კი გაგვკრა გულში, იმ ყანასავით მინდვრის შემხედვარე, ემანდ, დღესვე არ ჩააღავოს ბარგი და გერმანიაში არ დაბრუნდესო. რა შთაბეჭდილება დარჩა ტოპიოლოგს, ამაზე ვერაფერს გეტყვით — შენობაში, ცხადია, უურნალისტებს არ უშვებდნენ, გარეთ გამოსვლისას კი გერმანელი სპეციალისტი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი სასწრაფოდ ჩასხდნენ მანქანაში და...

შემდეგი სტუმრობა „დინამოს“ დილმის ბაზაზე შედგა. ტოპიოლოგისთვის ერთი-ორი შეკითხვის დასმა აქაც შეუძლებელი იყო, მისი დანახვის საშუალებაც არ მოგვეცა და კიოებამდე ზომ ვერ გადავიქცეოდით...

ახალკაცის გარდა ჰერ კლაუსთან ერთად „ანტრასტის“ მწვრთნელობისას მისი შეგირდი კაზა ცხადაძე და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები — რევაზ არველაძე, გოგი ქავთარაძე და დიმიტრი რამიშვილი იყვნენ...


არველაძე ერთადერთი იყო, ვისგანაც კომენტარი მოვისმინეთ: „თავისთავად, ამ დონის მწვრთნელის საქართველოში ჩამოსვლა და თანაც მუდღეურობისთან ერთად, უკვე ცხადყოფს, რომ ტოპიოლოგი სერიოზულად უყურებს ჩვენი ნაკრების გაწვრთნის პერსპექტივას. მას აშკარად ეტყობა, რომ მოწადინებულია, ყველაფერი გაიგოს საქართველოზე, მისი კითხვა-პასუხები ჯერჯერობით გაცნობითი ხასიათისაა,

მაგრამ ინტერესი ჩანს. ხვალდან, ალბათ, მოლაპარაკება უფრო საქმიანად დაიწყება, ვერ ვიტყვი, რომ შეთანხმება ხვალვე მოხდება და ერთმანეთს ხელზე ხელს დაგვკრავთ — შესაძლოა, ტოპიოლოგმა რამდენიმე დღე ითხოვოს მოსაფიქრებლად“.

ეს რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარეს, თუმცა გუშინვე კლაუს და როზი ტოპიოლოგები თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში იყვნენ, სადაც პაატა ბურჭულაძის კონცერტს დაესწრნენ.

მოკლედ, ფონი ისეთია, რომ სწორედ დღეს იწყება საქმიანი მოლაპარაკებები და საკითხავი ისაა, რამდენ ხანს გასტანს და, რაც მთავარია, როგორი შედეგით დასრულდება. დღეს კი უურნალისტებს უფრო საინტერესო დღე გველის — კლაუს ტოპიოლოგი პრესკონფერენციას გამართავს.

**ილია ნანობაშვილი  
ბადრი კეტილაძის ფოტოები**



### დინამო იყო...

ახლა არ ვიცი, 80-იან წლებში კი ერთ კორპუსზე ერთი ბურთი მოდიოდა, კომპიუტერიც არ არსებობდა და, ამდენად, ბავშვების მთავარი გასართობი ფეხბურთი იყო.

მაშინ კარგი ბურთის შოვნა იოლი არ იყო და თუ წააწყდებოდი, ორნაირი ბურთი იყო. ერთი — ბაწრით შესაკრავი, თავად რომ უნდა ჩაგელო შიგნით კამერა. თუ არ ვცდები, 7 თუ 8 მანეთი ღირდა. მეორე კი, ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, უკვე ჩაკერებული კამერით. აი, ხარისხისა კი რა მოგახსენოთ — ბურთზე არ დაჯდებოდა, ბიჭო! გამუდმებით ისმოდა ეზოებში, რადგან ბურთზე დაჯდომა და მისი „დაკვერცხება“ ერთი იყო.

ჰოდა, ერთხელაც მამაჩემის ამხანაგმა დავით მუჯირმა ბურთი მაჩუქა! ნაღდი ბურთი, რითაც დინამოელები თამაშობდნენ და, რაც მთავარია, ფეხბურთელების ავტორაფები! იმ დროს უკეთეს საჩუქარს ვერც ერთი ბიჭი ვერ ინატრებდა და, რა თქმა უნდა, ისე ვინახავდი, ცივ ნიავეს არ ვაკარებდი.

ჩვენს ეზოში ფეხბურთის თამაში სახიფათო იყო. მეზობლების მანქანებს რომ ვუბრაზუნებდით ბურთს, ეგ არაფერი, მაგრამ დარტყმის ძალას და მიმართულებას თუ ვერ მოზომავდი, ტრასაზე გადავარდებოდა და ეგრე რამდენი ბურთი აღმოჩენილა მანქანის ბორბლებქვეშ და გამსკდარა...

ერთხელაც მორიგი დაკვერცხებული ბურთი გავხვთქეთ. სხვა ბურთი არ გვაქვს, არადა, თამაში გვინდა. ყველა მე მომჩერებია — იციან, რომ სახლში დავით მუჯირის ნაჩუქარი ავტორაფებიანი ბურთი მაქვს, მაგრამ ისიც იციან, რომ ცივ ნიავეს არ ვაკარებ.

ჩაკვარდი ორ ცეცხლს შუა. თამაში ისე მიდინდა, ლამისაა გავკეოდე, მაგრამ ის ბურთიც წასახდენად არ მეშველებოდა. ბოლოს, ჯანდაბას-მეთქი და, გამოვიტანე...

რაკი ერთხელ გამოვიტანე, მერე და მერე უფრო ვიმეტებდი გამოსატანად. ასფალტი კი თავისას შერებოდა და ბურთი თავისი ავტორაფებიანად ნელ-ნელა ცვდებოდა.

ყოველ საღამოს, სახლში რომ ავიდიოდი, პასტას ვიღებდი და გადაფხვილ ავტორაფებს გულმოდგინედ ვაახლებდი, რესტავრაციას ვუკეთებდი.

რამდენიმე თვის მერე კი იმ ბურთსაც წინამორბედების ბედი ეწია — ტრასაზე გადავარდა და ბორბლებქვეშ აღმოჩნდა...

პიტე კეპელია



— 1982 წელს „დინამოდან“ დათო ყოფიანი წავიდა, მერე ვიტალი დარასელია დაიღუპა, რამდენიმე ფეხბურთელს კი გვითხრეს — თქვენ უკვე ბევრს მიადწიეთ, ახლა ახალგაზრდული გუნდი უნდა გავაკეთოთ და „დინამო“ თითქმის ერთდროულად ცხრა ფეხბურთელმა დატოვა.

— „დინამოდან“ 1983 წელს წავედი, ქუთაისის „ტორპედოში“ გადავედი. მქონდა შემთავაზება ერევნის „არარატიდან“. სომხები კარგ პირობებს მთავაზობდნენ, მაგრამ „დინამოს“ წინააღმდეგ თამაში არ მინდოდა და „არარატზე“ უარი ვთქვი. ვერც „ტორპედოში“ დავრჩი დიდხანს. ამასობაში „დინამოში“ მწვერთნელი შეიცვალა, გუნდი ყოფიანმა ჩაიბარა და დამიძახა, მაგრამ 1984 წელს ლავიწის ძვალი დავიშავე და „დინამოში“ 1985 წელს დავბრუნდი.

— ნოდარ ახალკაცს და ყოფიანს შორის დამაბული ურთიერთობა მე არასოდეს შემიმჩნევია. როგორც მწვერთნელებს, ახალკაცს და ყოფიანს ვერ შევადარებ, მაგრამ ფაქტია, ყოფიანი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვერთნელი იყო. დათო დიდი პიროვნება გახლდათ, იუმორიც ჰქონდა და გვერდით დგომაც იცოდა, არ იყო დისტანციური. იმ ფეხბურთელებს, რომლებიც თბილისის „დინამოში“ პერიფერიებიდან მოვიდოდით, არასოდეს გვაგრძობინებდა, რომ „ჩამოსულები“ ვიყავით — „დინამო“ ერთიანი გუნდი იყო.

— სმას ვერიდებოდით, იშვიათად თუ შევიკრიბებოდით დასალევად და ასეთი გამოწვევის შემდეგ ბაზაზე რომ შევედიოდი, ვუკვირდებოდი, მარცხენა ფეხით შევიდიოდი თუ მარჯვენათი, ახალკაცმა რამე არ შეამჩნიოს-მეთქი. ისე, ახალკაცი თვითონ გვეუბნებოდა, თუ როდის შეიძლება განტვირთვა, რაც ხანდახან აუცილებელი იყო. თამაშამდე მინიმუმ სამი-ოთხი დღით ადრე კი ალკოჰოლს არ ვეკარებოდით.

— ახალკაცი ძალიან მკაცრი მწვერთნელი იყო, მაგრამ ამავე დროს ძლიერი ფსიქოლოგიც. ის მრავალმხრივ განათლებული პიროვნება

გახლდათ, ინდივიდუალურად მიუდგებოდა ხოლმე თითოეულ ფეხბურთელს, ხანდახან დომინოსაც კი გვეთამაშებოდა.

— რატომ ვეღარ ბრწყინავდა „დინამო“ 1982 წლის შემდეგ? ძალიან ბევრია დამოკიდებული ფეხბურთელების პლედაზე, შევიდრევა ნიჭიერი ფეხბურთელი თუ არ მოვიდა გუნდში, არაფერი გამოვა. შედეგის ორმოც პროცენტს მწვერთნელი განაპირობებს, სამოცს კი ფეხბურთელები. 80-იან წლების „დინამოში“ მართლაც პერსპექტიული ახალგაზრდობა მოვიდა, მაგრამ პრ-

ოვესინალიზმი აკლდათ.

— 1986 წელს „დინამოს“ ისევ ახალკაცი ჩაუდგა სათავეში. გუნდში დააბრუნეს რევაზ ჩელეძე და მოიწვიეს ვალერი გაზაევი. მათ „დინამო“ მნიშვნელოვნად გააძლიერეს, მაგრამ გაზაევი პირობებით უკმაყოფილო იყო და „დინამოდან“ წავიდა. გუნდი დატოვა ჩელეძემაც. იმ სეზონში უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ, მაგრამ ახალკაცი მაინც გაუშვეს გუნდიდან. „დინამოს“ მწვერთნელი გერმან ზონინი გახდა, ის დიდი სპეციალისტი არ იყო, თუმცა ურიგო მწვერთნელ-

იც არ გახლდათ — მისი ხელმძღვანელობით ვოროშილოვგრადის „ზარია“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

— 1987-88 წლებში უეფას თასის გათამაშებში ზონინის ხელმძღვანელობით ჩავებით, ორი ეტაპი გადავლახეთ და მერე ბრემენის „ვერდერთან“ დაემარცხდით (1:2, 1:1). შეიძლება ითქვას, რომ კარგად წარმოვანინეთ თავი, „ვერდერთან“ ხომ მოგებაც შეგვეძლო. იმ პერიოდში ერთ-ერთ ვარჯიშზე მალხაზ არზიანმა ზონინს შემთხვევით თავში გაარტყა ძლიერად დარტყმული ბურთი და ყურის ბარაბანი გაუხეთქა...

— 1989 წელს, „დინამოს“ ბოლო საბჭოთა სეზონში კარში ხან ზაურ ხაპოვი იდგა, ხან მე, თუმცა თავს ძალიან მხნედ ვგრძობდი, კარგ ფორმაში ვიყავი. გულდასაწყვეტია, რომ 80-იან წლებში „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშეს — მესხი, ცაავა, ბარათაშვილი, აფციაური, გოგიტიანი, ფანცულაია... მხოლოდ მათი ბრალია, ეს რომ ვერ შეძლეს.

— 1979 წელს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარედ დამასახელებს. რაც, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ საბჭოთა კავშირის თასის ფინალში სამი პენალტი მოვიგერიე — მოსკოვის „დინამოსთან“ ძირითადი და დამატებითი დრო 0:0 დამთავრდა, ვერ მახოვიკოს და პეტრუშინს აუვლე II-მეტრიანები, ბოლოს კი პირველადი გადავიწერე და გაზაევის დარტყმულიც მოვიგერიე. თასიც ჩვენ დავგრჩა. პენალტებისას ცდილობდი, მოძრაობით დამებნია მოსკოველები და, ალბათ, გაზაევიც ამაზე გამოვიჭირე, თორემ ალაღებდნენ არ გადავმხტარვარ და ისე არ გამომიცვნიოდა კუთხე.

— ბავშვობაში ცეკვაზეც დავდიოდი და შემოდოდი, სუნიშვილების „დუბლებში“ მოვხვედრილიყავი, მაგრამ ცეკვას ფეხბურთი ვამჯობინე. ვარჯიში ბევრს ნიშნავს, მაგრამ თუ ზემოდან არ ხარ ნიჭით დაჯილდოებული, ბევრს ვერ მიადწივ. ცეკვაზე სიარული კი ფეხბურთშიც დამეხმარა, მეტი მოქნილობა შემძინა.

... 1981 წლის დიუსელდორფული ტრიუმფის მომდევნო წელს „დინამომ“ თასების თასის ნახევარფინალამდე მიაღწია, მერე კი გუნდს დაღმასვლა დაეწყო და 1987 წლამდე ევროასპარეზს ჩამოსცილდა...

... ოთარ ბაბელია „დინამოში“ 1976 წელს ჩაირიცხა და ჩვენს უტიტულოვანეს გუნდში 1989 წლის სეზონშიც ითამაშა, თბილისის „დინამოს“ უკანასკნელ საბჭოურ სეზონში. მაშ ასე, 80-იანი წლების „დინამოზე“ დინამოელთა კარის დარაჯი ოთარ გაბელია მოგვითხრობს...

## როსა მწვერთნელს ყურის ბარაბანს უხეთქავდნენ...



80-იანი წლები „დინამოში“ ევროტრიუმფით დაიწყო

# 89

## გიორგი შერმადინია

# დუბლ-ჩემპიონი ბაშაშვილი

ეროვნული  
სეზონის

**შედეგი** თავისთავად შთაბეჭდავდა და მას მხოლოდ ის თუ აუფერულდება, რომ დუბლიორთა ჩემპიონატში დაფიქსირდა. რაც არ უნდა იყოს, 89 ქულა 89 ქულაა, თანაც დუბლიორთა ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს ეროვნულში მოთამაშე არაერთი კალათბურთელი ჰყავთ.

„თავიდან არც მიფიქრია, რეკორდი დამემყარებინა, თუმცა მეორე ტაიმში საამისოდ ხელსაყრელი ვითარება შექმნა — ამბობს შერმადინი — სოხუმელთაგან ორი კაცი მიჭერდა და ყველა ბურთი ბრძოლაში ჩავაგდე. ძალიან ვამიხარდა, 89 ქულის ჩაგდება ვერც კი წარმომედგინა“.

„შერმადინის საპირველტაიმო მონაგარი 32 ქულა იყო და რეკორდზე არავინ ფიქრობდა — ეს უკვე „მაკაბის“ მწვერულს ჯამლეტ ხუზაშვილის სიტყვებითა — მეორე ტაიმში მან სოხუმელთა ორ ტანმალალ მოთამაშეს იმდენი საჯარიმო აკრიბა, რომ მოედინიდან გაისტუმრა. მი-

საქართველოს დუბლების ჩემპიონატს ქართული პრესა, როგორც წესი, არ აშუქებს, თუმცა გასულ შაბათს ამ ტურნირში ისეთი ამბავი მოხდა, რომ გვერდს ვერაფრით აკეცილით. მაკაბელი გიორგი შერმადინი რომ მზარდი და პერსპექტიული მოთამაშეა, ერთხელაც დაამტკიცა. მან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს შაბათს 89(!) ქულა აართვა



სტეს ალბათ ნებისმიერი კალათბურთელი ინატრებდა და ორმაგად დასაფასებელია, რომ ეს 213-სანტიმეტრიანმა მოთამაშემ მოახერხა.

„შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ შერმადინის მსაჯვებიც ენმარებოდნენ. ეს არ მომხდარა, ამ თამაშს საერთაშორისო კლასის არბიტრი ზაზა მაჩალაძე უძღვებოდა, რომელიც ისევე არ პატიობდა შერმადინის არაფერს, როგორც მის ოპონენტებს“ — ამბობს ხუზაშვილი.

რა თქმა უნდა, „მაკაბი“ მოიგო — 129:89. ხომ საინტერესო დამთხვევაა? შერმადინმა ზუსტად იმდენი ქულა მიითვალა, რამდენიც სოხუმელმა მილოანობაში. ამ მოვებით „მაკაბი“ დუბლიორთა ჩემპიონატში რუსთავის „პოლიტის“ ზურგს უკან, მეორე ადგილზე გაამყარა. შერმადინის რეკორდი კი ისტორიის კუთვნილება გახდა და მის დამხიბვას ახლო მომავალში არ ვარაუდობენ, თუ კვლავ შერმადინი არ გამოიღებს ხელს.

ირაკლი კობახია

### 9 დეკემბერი

**სან ანტონიო 101:89 ზოსტონი**  
სან ანტონიო: დანკანი (20 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), პარკერი (16), ჯინობილი (14)

**ბოსტონი: პირსი (24), დევისი (19), ბლუნტი (19)**

**ფილადელფია 119:115 შარლოტი**  
ფილადელფია: აივერსონი (43), კორფერი (26), იგუდალა (20), ფიქსი (12 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), დალემბერტი (12)  
შარლოტი: რაში (15), ოკაფორი (15), ელი (13), ბოგანსი (13)

**მაინაი 92:100 დენვერი**  
მაინაი: ვიდი (37 ქულა, 10 მოხსნა), უოლკერი (17), პეტონი (13)  
დენვერი: ენტონი (40), კემბი (18 ქულა, 12 მოხსნა), ბაგენერი (14)

**კლივლენდი 100:109 ნიუ ჯერსი**  
კლივლენდი: ჯეიმსი (32), ილგაუსკასი (22), მარშალი (16 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსი (14)

**ნიუ ჯერსი: გარტერი (38 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 4 ჩაჭრა, 2 დაფარება), ჯეფერსონი (18), კიდი (16), კრსტიანი (16)**

**მეგფინსი 83:90 დალასი**  
მეგფინსი: მილერი (19), ბეტეი (17), სტუდემიერი (15), ჯონსი (14)  
დალასი: ნოვიციკი (35), დანიელსი (18), ვან პორნი (13)

**ჩიკაგო 90:103 ლიუკარსი**  
ჩიკაგო: ჰაინრიხი (26), სვიტნი (22 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება), დენგი (14)

**ლიუკარსი: ბრაიანტი (23), ოდომი (19), კუკი (16)**

**იუსტა 90:106 სინცლენი**  
იუსტა: კირილინენო (17 ქულა, 11 მოხსნა), პარპრინგი (16), ბრაუნი (14)  
სინცლენი: ლუისი (26 ქულა, 7 ჩაჭრა), ალენი (19), რადმანოვიჩი (17), რიდნორი (16)

**ფინიქსი 85:81 ნიუ იორკი**  
ფინიქსი: ნემბი (19 ქულა, 9 პასი), ბელი (17), ჰაუსი (15), მარინო (14 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ იორკი: მარბერი (28), რობინსონი (14)**

**პორტლენდი 98:95 ნიუ ორლენი**  
პორტლენდი: დიქსონი (28), ბრაიანტი (16), პრეზიბილა (11 ქულა, 19 მოხსნა)  
ნიუ ორლენი: კლატტონი (27), პოლი (21 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ვესტი (16)

**გოლდენ სტიტი 103:106 დეტროიტი**  
გოლდენ სტიტი: რიჩარდსონი (36), დანლივი (15), ფიშერი (15), დევისი (14 ქულა, 14 პასი)  
დეტროიტი: ბილაფსი (29), შამბლონი (22), რ. ვოლესი (22), პრინსი (15)

10 დეკემბერი  
ატლანტა 94:84 სან ანტონიო  
ატლანტა: აივი, ჯონსონი (22), სმიტი

### NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ქორეხვა ჩემპიონი დაკორბნეს ზაზაშვილს დანკანსი ჩარაზა



ზაზა ფაჩულაიამ მანუ ჩინობილი გააყავა

(7), პარინგტონი (11 ქულა, 11 მოხსნა), ვაგულია (33 წუთი, 19 ქულა, 13 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა), ლუ (16), ჩილდრესი (13 ქულა, 11 მოხსნა), უილიამსი (4), ედვარდსი (2), სტუდემიერი

**სან ანტონიო: პარკერი (20), ჯინობილი (17 ქულა, 10 მოხსნა), ბოლენი (13), დანკანი (12 ქულა, 10 მოხსნა), ნესტეროვიჩი; ფინლი (9), ბერი (8), მუჰამედი (4), პორი (1), უდრიი**

**ვაშინგტონი 111:118 ჩიკაგო**  
ვაშინგტონი: არენსი (42 ქულა, 7 პასი, 6 ჩაჭრა), ჯემისონი (16 ქულა, 12 მოხსნა), პიეფუდი (16), ბატლერი (16)  
**ჩიკაგო: დუშონი (24), ჰაინრიხი (22 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა), დენგი (21), სონგაილა (15)**

**ორლანდო 94:83 დენვერი**  
ორლანდო: სტივენსონი (18), ჰოვარდი (17 ქულა, 14 მოხსნა), ფრენსისი (15), ბათი (15)  
დენვერი: ენტონი (23), კემბი (14 ქულა, 12 მოხსნა), ლენარდი (14)

**ნიუ ჯერსი 95:107 ფილადელფია**  
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (26 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), გარტერი (26), კორფერი (14 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა)

**ფილადელფია: აივერსონი (42 ქულა, 12 პასი, 5 მოხსნა, 4 ჩაჭრა), კორფერი (25), ვიბერი (13)**

**შარლოტი 103:111 ტორონტო**  
შარლოტი: ნათი (20 ქულა, 12 პასი), ჯონსი (16), რაში (14), ვოლესი (13 ქულა, 14 მოხსნა)

**ტორონტო: ბოში (30 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება), ჯეიმსი (22), ვილანუვა (19)**

სნა, 6 პასი), მობლი (25), კასელი (24)  
ფინიქსი: მარინო (20), ნემბი (15 ქულა, 11 პასი), ტომასი (13 ქულა, 17 მოხსნა)

აი, თუ გინდათ სასწაული! ვისაც არ ეხარებოდა, ყველა უგებდა „ატლანტა ჰოქსის“, ამან კი აიღო და ჩემპიონი „სან ანტონიო სფურზი“ წამოაქცია!

მართალი ვთქვათ, ამ მარცხს მოულოდნელოდ თავად სანანტონიულები არ თვლიან. მათი ლიდერი ტიმ დანკანი ამბობს: „თვალში შეავლეო მათი თამაშებს, ისინი არასდროს აგებენ უბრძოლველად ჩვენთანაც რომ იყვნენ, მაშინაც კარგად ითამაშეს“.

15 ნოემბერს „ჰოქსი“ „სფურზს“ რომ სტუმრობდა, პირველი მეოთხედი 13 ქულით მოუგო, ოღონდ მეორე ვეღარ გაუძლო ჩემპიონთა მოძალდებს და 79:103 დამარცხდა.

ახლა სწორედ პირიქით მოხდა. „ატლანტა“ პირველი 12-წუთეულის შემდეგ 8 ქულით აგებდა, მაგრამ შემდეგ მასპინძლები უკეთ ათამაშდნენ, მესამეში ორ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, ხოლო მეოთხე მეოთხედში 25:13 შეუმსრეს ძლევაში სილი მეტოქე და გამარჯვებულთა ექსტრემული ვაჟი გაუწყვიტეს, ხოლო თავად ბოლო 8 მატჩში პირველად იმარჯვეს, სულ კი მეცხრამეტე შეხვედრაში მხოლოდ მესამე მოგება ჩაიწერეს და ჯერაც ვერ დააღწიეს თავი აღმოსავლეთ კონფერენციის ცხრილის ფსკერს — „ტორონტოს“ ერთი, ხოლო „მარლოტს“ ორი გამარჯვებით ჩამოუვარდებიან.

მაგრამ კარგზე ვისაუბროთ: გადასარევედ იბურთავა „ჰოქსის“ ჩვენებურმა ცენტრმა ზაზა ფაჩულაიამ, ვინაც 19 ქულა და 13 მოხსნა მოიხვეჭა და „სფურზის“ ორ მთავარ მეფარეს, ტიმ დანკანსა და რაშო ნესტეროვიჩს ერთად აჯობა 7 ქულით და 1 მოხსნით. მისი მეთაურობით „ატლანტამ“ 50:40 მოიგო ფარი და მძლავრი მეტოქის

გატეხვაში ესეც გვარიანად წაადგა. ეს მატჩი ფაჩულაისთვის ერთ-ერთ საუკეთესოდ ჩათვლება მის ამერიკულ კარიერაში. დანკანის წინააღმდეგ თამაში ასეთი ახალგაზრდა და გამოცდილი ვეფლისთვის კი არა, შაკილ ონილისთვის არ არის ტაიმს სეკვრზე გასეირნება.


რაც შეეხება მეორე ჩვენებურს, ნიკა ციტივიშვილმა ტრადიციულად სათადარიგოთა სკამიდან უყურა თამაშს, კენი გარნეტის „მიჩესოტამ“ მისი დანკანის გარეშე დასცა კი ბრაიანტის და ფულ ჯექსონის „ლეიკერსი“.

მორიგი ზღაპარი გამოაცხო ლებორნ ჯეიმსმა. კლივლენდმა შეჯიბრება მოხედავს „მიჩესოტას“ წინააღმდეგობის საფრთხიდან 14 წუთით, 9 სამინიდან — 5, 10 საჯარიმოდან — 9 და ჯამში 52 ქულა მოიხვეჭა, რითაც ამ სეზონის კიბი ბრაიანტიესული საფრთხილი რეკორდი 6 ქულით გააუმჯობესა. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მის გუნდს ესეც არ ეყო მეტოქის დასამარცხებლად, რაკილა ზიგი ილგაუსკასს თუ არ ჩათვლით, დანარჩენები ხელბეჭდში შეჰყურებდნენ ლებრო-ბიჭუნას და „მიჩესოტას“ ლამის მარტო შებშულს ხელი ვერ მიაშველეს.

42 ქულა გაჰანსა ვაშინგტონელმა ვილბერტ არენსამ, თუმცა ვერც მისმა გუნდმა შერგო ეს დოვლათი „ჩიკაგო ბულვზს“ დედაქალაქში ზედიზედ ათი მარცხის შემდეგ მოიგო. ყველაფერი სიზმარს ჰგავდა — „ბულვზი“ ბოლო მეოთხედში 14 ქულას აგებდა, მაგრამ კირკ ჰაინრიხმა, კრის ლუკონამ და სულანელ-ინგლისელ-ამერიკელმა ლულო დენგმა ბოლო წუთებში კომპარი მოუწყვეს მასპინძლებს და შეხვედრა 16:0 გაქცევით დაამთავრეს.

ეს მეორე საჩუქარი იყო ლეგენდარული ჩიკაგოელი სკოტი პიპენისთვის — პირველი კი ის გახლავთ, რომ მაღლივი კლუბმა მაიკლ ჯორდანის ყოფილ მარჯვენა ხელს პარასკეეს, „ლეიკერსთან“ შეხვედრის შეხვედრაზე მუდმივ საკუთრებაში გადასცა 33-ნომრისანი მაისურა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბულვზი“ ამ ნომრით ველარავინ ითამაშებს.

კობა ყოფნია



# ისრაელური ათუი ათი ჩახნაფილი მიზანს უახლოვდება

საქართველოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაფილი ბოლო ორ კვირაში ისრაელში ორი საერთაშორისო ტურნირი მოიგო. რამათ პაშარონისა და რაანანას 10-ათასდოლარიან საპრიზო ფონდიან ტურნირებზე იგი მეორე ნომრად იყო განთესილი და საერთაშორისო რეიტინგში თავისზე მაღლა მყოფ ჩოგბურთელთან მხოლოდ ერთხელ მოუწია შეხვედრა. რაანანას ფინალში პირველ ნომრად განთესილ ციბი ობზილერთან მოგება (6:4 7:6) მაკასთვის ზედიზედ მეათე იყო.

ისრაელურ ტურნირებში მანანა შაფაქიძემაც ითამაშა და მეოთხედ-ფინალბუს უწია. მსოფლიოს რეიტინგ-სიაში 809-ე ადგილზე მყოფმა 16 წლის ქართველმა ჩვეულად იბრძოლა და თავისზე დიდ და გამოცდილ მოთამაშეებსაც მოუგო. რაანანას ტურნირის მერვედფინალში შაფაქიძემ სულაც 350 ადგილით წინ მდგომ განთესილ ესპანელ გაბრიელა ველასკო-ენდრიუს დაახრევიანა ჩოგანი 6:1 6:2.

ქართველი ჩოგბურთელები თბილისში ამ დღეებში ბრუნდებიან, მორიგ უცხოურ ტურნირებს კი დეკემბერშივე მიაშურებენ. მაკა ჩახნაფილი სავარაუდოდ გაცვილებით მაღალ საპრიზო ფონდიან შეჯიბრში ითამაშებს. ჯერ კიდევ სამი თვის წინ თავადვე თქვა, სეზონის ბოლომდე რეიტინგში 200-ში უნდა შევიდო. ამჟამად ჩახნაფილი 250-ზეა. ისრაელური გამარჯვებები რამდენიმე საფეხურით კიდევ წასწევს წინ და თუ მომავალ 25 ან 50 ათასიან ტურნირზეც კარგად ითამაშა, ალბათ მიზანსაც მიაღწევს.

## ოთარ გალდაპელიძე



მაკა ჩახნაფილი



ლოკომოტიველებმა საქართველოს ჩემპიონობითა და „სარბიელის“ სინით დამახურობულად გაიხარეს

**ლოკომოტივი 30:6 აპაღვია**  
**ლოკომოტივი:** ასათიანი, გუგაბა, კობერიძე, გიგაური, გილაური, კვინიხიძე (კაპ), სამხარაძე, გასვიანი, ჯოხია, სპანდერაშვილი, მხეიძე, კორკობაძე, მაისურაძე, სუთიაშვილი, ყურაშვილი  
**შეცვლაზე შევიდნენ:** ხაჩირაშვილი, კახიანი, ქარაბაქი, ანდლულაძე, ნინიანიძე, მალაღაძე  
**4 ლეული:** მხეიძე, მაისურაძე, გუგაბა, კახიანი; **2 გარდასახვა:** კვინიხიძე 2; **2 საჯარიმო:** კვინიხიძე 2  
**მწვრთნელი:** თემურ ბენდიანიშვილი  
**აპაღვია:** გურგენიძე, ნასიძე, ბატოიანი, სულამანიძე, ელიზბარაშვილი, ხუხუნეიშვილი, ქობილაშვილი, ბანდელიძე, ნატრიაშვილი, გელანტია, უჩაია, გაბუნია, ნებულიშვილი, მჭედლიძე (კაპ), სირბილაძე  
**შეცვლაზე შევიდნენ:** მაჭარაშვილი, პინჩუკოვი, ჩიკვაძე, გელაძე, კობახიძე, ნიკლაური, დამბაშიძე  
**2 საჯარიმო:** ხუხუნეიშვილი, ელიზბარაშვილი  
**მწვრთნელი:** პაატა ნარიშანიშვილი  
**მთავარი მსაჯინი:** მგელაძე  
**ასისტანტი:** ჩაჩუა, ნარიშანიძე

**საქართველოს** მორაგბეთა მე-16 ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა. გუშინ ეროვნულ სტადიონზე გადამწყვეტი მატჩი „ლოკომოტივმა“ და „აკადემიამ“ გამართეს. გუნდებს მოტივაცია დიდი ჰქონდათ, რაკილა ჩემპიონობის გარდა „სარბიელის“ სინიც თამაშდებოდა.

„ლოკომოტივი“ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტი იყო. იგივეს თქმა გაეციჭრებოდა მის მეტოქეზე, თუმცა „აკადემიამ“ ბოლო მატჩებში („ხულიგანასთან“ და „ლელოსთან“) დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არაა.

ასე იყო თუ ისე, „ლოკომოტივმა“ და „აკადემიამ“ ბოლომდე მედგრად იბრძოლეს.

თამაში ორმხრივ იერიშებში დაიწყო. გუნდები უპირატესობის მოპოვებას თავიდანვე შეეცადნენ. უკვე მე-3 წუთზე კი „აკადემიის“ დამრტყმელმა იხერია. ხუხუნეიშვილმა ჯარიმა ხელსაყრელი პოზიციიდან გაიტანა — 3:0. თუმცა „აკადემიის“ მორაგბეთა სისარული ორ წუთს გაგრძელდა, „ლოკომოტივმა“ მეტოქის ოცდარბი აუჭი მოაწოდა, ბურთი მოიგო და აგორებული მოლით ჩათვლის მოეწოდებოდა იარა, იქ კი მხეიძემ იყო ჩალა, მოლიდან საჭირო დროს გამო-

# მაგთიკომის პირველობა რკინიგზელები აფეთქებებით აშენდნენ ლოკომოტივის მონაგარი: ჩემპიონობა და „სარბიელის“ სინი



„ლოკომოტივისა“ და „აკადემიის“ მწვრთნელები თავიანთი გუნდების თამაშით კმაყოფილნი დარჩნენ

ვიდა და დაამიწა. გარდასახვაზე კვინიხიძეც ზუსტი იყო და 7:3. აქედან მოყოლებული მე-14 წუთამდე თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. გუნდები გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას ვერ ახერხებდნენ. ამის შემდეგ მცირე დროით თამაშის სადავეები „აკადემიის“ ხელში გადავიდა, მათ წინ გასვლაც კი შეეძლოთ, მაგრამ... ჯერ დამრტყმელმა ხუხუნეიშვილმა გააფუჭა ჯარიმა. შემდეგ მას მხარი ელიზბარაშვილმა აუბა, ვინც ხელსაყრელი პოზიციიდან არეკნი ააცვილა. ამას ისევ ხუხუნეიშვილის გაცუდებული საჯარიმო მოჰყვა და „აკადემიამ“ წინ გასვლის კარგი შანსი გაუშვა. „ლოკომოტივმა“ მეტოქეს შეცდომები არ აპატია, 24-ე წუთზე დიდებული 8-ფაზიანი შეტევა მოაწყო, რასაც მაისურაძის

ლელო მოჰყვა. კვინიხიძე კი გარდასახვაზე ამჯერად შეცდა და 12:3. ტაიმის დარჩენილი წუთებიც საინტერესოდ წარიმართა. „აკადემიამ“ ლელოსთან ახლოს იყო, მაგრამ „ლოკომოტივის“ მორაგბეებმა ბურთი ბოლო წამს გამოიტანეს. „აკადემიას“ დარჩენილ დროში ანგარიშის შემცირება მაინც შეეძლო, მაგრამ ელიზბარაშვილმა საჯარიმო გააცუდა. ამას მსაჯის სასტეკნი მოჰყვა და გუნდები შესვენებაზე გავიდნენ. მეორე ტაიმი უფრო თვალსაყრელი გამოდგა. მე-3 წუთზე რკინიგზელებმა იხერეს გუგაბა შერკინების მძლავრი მიწოდების შემდეგ აღმოჩნდა ხელსაყრელი პოზიციიდან და დამიწება არ გასჭირვებია. დამრტყმელი კვინიხიძე ამჯერად შეცდა და 17:3. „აკადემიის“ საპასუხო იერიშს ელიზბარაშვილის ჯარიმა მოჰყვა

(17:6). იმავე ელიზბარაშვილს კიდევ შეეძლო ანგარიშის შემცირება, მაგრამ მე-11 და 22-ე წუთებზე საჯარიმო დარტყმები გაუცუდა.

ამ დროს მატჩის საერთო სურათი ასეთი იყო: „აკადემიამ“ ბევრს ცდილობდა და ანგარიშში სხვაობის შემცირებაზე ზრუნავდა „ლოკომოტივი“ კი პატარა „აფეთქებებს“ აწყობდა, რასაც მათთვის შედეგაც მოჰქონდა. 25-ე წუთზე კვინიხიძემ შეცდომები გამოასწორა და შორი მანძილიდან საჯარიმითი იხერია. ამას 5 წუთში, შეცვლაზე შემოსული კახიანის ლელო მოჰყვა მას შემდეგ, რაც მაისურაძემ ოცდარბმეტრიალის შუაში ხაზი გაჭრა და ხელსაყრელი პოზიციიდან გაიყვანა. კვინიხიძე ამჯერადაც ზუსტი იყო (27:6).

დარჩენილ დროში „აკადემიის“ მცდელობის მიუხედავად ანგარიშში სხვაობა არ შემცირებულა, პირიქით კვინიხიძემ საჯარიმო გამოიყენა და საბოლოო ანგარიში 30:6 დააფიქსირა. „ლოკომოტივმა“ სრულიად დამსახურებულად მაგთიკომის პირველობა და სარბიელის სინი მოიგო. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე თავისი მოსაზრებები გუნდების მწვრთნელებმა გამოთქვეს.

**თემურ ბენდიანიშვილი („ლოკომოტივი“):**

მატჩი დაძაბული და ფინალის შესაფერისი იყო. თუმცა უკეთესიც შეიძლებოდა, ხელი კი უთამაშებლობამ შეგვიშალა. ჩემპიონატის ბოლო მატჩი ხომ თვენახევრის წინ გავმართეთ. საერთოდ, მინდა მეტოქე შევაქო, „აკადემიამ“ თავისი საუკეთესო თამაში ჩაატარა.

საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ მთელი თამაში ისე მიდიოდა, რომ ვერ იტყვი, ვის დარჩებოდა მოგება, საბოლოოდ კი ჩვენ ვიმარჯვეთ.

**პაატა ნარიშანიშვილი („აკადემია“):**  
 ვულოცავ „ლოკომოტივს“ გამარჯვებას. ისინი მთელი სეზონის განმავლობაში კარგად თამაშობდნენ და მთელი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეებზე ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არა ვარ. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს მთლიანობაშიც უნდა აღინიშნოს, რომ თამაში საინტერესო გამოდგა. რამდენიმე დიდი რაგბის ეპიზოდს ვიხილეო.

**ლემსო მისურაძე**

მურაბ დოღუნაშვილის ფოტო

მურაბ დოღუნაშვილის ფოტო



საქართველო XVII რეპიონალი. ქალაქი  
სანაგო პანკრატოვი. 5-18 დეკემბერი

# პირველ ქალაქში ქალაქი განსაზღვრეს

**რუსთა** მეორე ქალაქში ხელ-ბურთელმა ქალაქმა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფური ეტაპი დაასრულეს. ბრძოლაში ჩაბმული 24 ეროვნული ნაკრებიდან ნახევარი უკვე გამოაკლდა სამედლო ვაზს.

გუნდების უმეტესობამ დამაკრებლად გაიკვლია გზა მეორე რაუნდისკენ, სადაც წინასწარ ეტაპზე მოპოვებული ქულები გადაკვეთა, ერთი-ორმა კი წარმოუდგენელი მარცხი იწვნია.

ეგრეთწოდებული „სიკვდილის ჯგუფიდან“ ვერ გააღწია სლოვენთა „ვიდაც“ ანგოლასთან საშვილიშვილო წახდენის (27:28) შემდეგ. მესამე ჯგუფში უსაგზუროდ დარჩა მულამ ლონიერი ავსტრია, რომელიც ბრაზილიის ნაკრებმა გამოითიშა ბრძოლას — 32:29.

წინასწარი ზღუდე უდასჯარგოდ დაძლიეს, ანუ ხუთივე თამაშის მოგება მხოლოდ მასპინძელ-ფაავორიტმა, რუსებმა და რუმინელებმა შეძლეს.

უმთავრესი სენსაცია მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთისა და ექსპერტიზის ნაკრების მარცხი. ორივე სანაქებო ნაკრები მეორე ეტაპს ნულოვანი შედეგით იწყებს და, ცხადია, ძალიანაც გაუჭირდებათ ნახევარფინალში გაღწევა სამედლო პლეი-ოფში სათამაშოდ.

ერთი სიტყვით, დაწყებამდე ორივე ფავორიტი უმძიმეს დღეშია, მაქსიმალური, ოთხქულიანი მარაგით კი რუსეთის, უნგრეთის, დანიისა და რუმინეთის ქალები მიდიან.

სადღესოდ მეტოქეებსა დაგამი ლიდერობენ ავსტრიელები — ტატინა ლოვცინი (60) და გაბრიელა როტისნავი (44), შემდეგ მოდიან მაკედონელი ნატალია ტოდოროვსკა (42), ანგოლელი მარსელინა კაიალა (38) და ფრანგი ანჟელიკ სანკე (37).

დღეს იწყება მეორე ჯგუფური, სამთამაშოანი ეტაპი, რომლის შემდეგაც ორი-ორი უძლიერესი ნაკრები ნახევარფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

### გია ახალაძე

პირველი ჯგუფი	პირველი ჯგუფი
უნგრეთი 2 0 0 62:47 4	დანია 2 0 0 58:48 4
რუსეთი 2 0 0 63:50 4	რუმინეთი 2 0 0 58:53 4
კორეა 1 0 1 59:67 2	გერმანია 1 0 1 58:51 2
პოლანდია 1 0 1 51:61 2	უკრაინა 1 0 1 59:57 2
ხორვატია 0 0 2 55:58 0	საფრანგეთი 0 0 2 53:60 0
ნორვეგია 0 0 2 43:50 0	ბრაზილია 0 0 2 46:63 0

### ქალაქი

### მსოფლიოს თასი

სანაგო-პანკრატოვი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

### გვირგვინის მფლობელი. I-8 ადგილები

ვკანი ბარევი (რუსეთი) (0:5-0:5) (1:0)	რუსლან პონომაროვი (უკრაინა)
სერგეი რუბლევი (რუსეთი) (0:5-0:5) (0:1)	ეტინ ბაკო (საფრანგეთი)
ლევონ არაიანი (სომხეთი) (0:5-0:5) (1:0)	მიხეილ გურჯიანი (ბელგია)
ბორის გელფანდი (ისრაელი) (0:1) (1:0)(0:5-0:5)(0:5-0:5)(1:0)	ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)

# ფრანგებმა რუსული რუბლი გააუფასურეს

ნახევარფინალისტებიდან ყველაზე დიდი რეიტინგი ფრანგ ეტიენ ბაკოს აქვს. მიუხედავად ამისა, ტოტალიზატორები ფავორიტად სომეხ ლევონ არაიანს მიიჩნევენ და მოგებაზე 3,6 კუში დაუწერეს, ფრანგს კი — 4,2.

კენჭისყრის მიხედვით, ორივე მოჭადრაკე ფინალამდე ვერ შეხვდება ერთმანეთს და თუ ნახევარფინალშიც იყრიან ლეტონ...

მძიმე ბრძოლები გადაიტანა არაიანმა. პირველ შეხვედრაში მან თეთრი ფიგურებით ყაიმი ითამაშა ბელგიელ მიხეილ გურჯიანთან და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გაიკარო.

განმეორებითი მატჩი სომეხმა დიდასტატმა აქტიურად დაიწყო, მე-5 სვლაზე კუ მხედარში გაცვალა და ხ7-ე უჯრაზე მეორე კუ სნაიპერით დასვა. საპასუხოდ გურჯიანმა წამოიწყო იერიშები, თუმცა ამასობაში არაიანმა ლახიერის ფლანგი

განავითარა და მეტოქეს მანევრების საშუალება არ მისცა. 27-ე სვლაზე სომეხი ხარისხით დაწინაურდა, ეტლი წინ გაუშვა და ზელოქვის ფლანგიდან პაიკების გაყვანას შეუდგა. რიცხობრივ უპირატესობაში მყოფმა შავებმა იძალად გატეხეს თეთრები, წყობაც აუშალეს და 58-ე სვლაზე აღმები დააშვებინეს.

შეღარებით ადვილად მიივლო ბაკომ. ფრანგმა მოჭადრაკემ პირველი მატჩი შავებით ყაიმი დაუსრულა რუბლევისკის, თუმცა მეორეში თეთრებით შანსი არ დაუტოვია და მე-40 სვლაზე დაამატა.

მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებსთვის იბრძვის თასის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე 15 წლის ნორვეგიელი მანუს კარლსენი. ორმატჩიან დუელში მან ფრანგ ყოველ ლოტიეს მოუგო 1,5:0,5 და მეცხრე ადგილზე გასვლის შანსს კვლავ ინარჩუნებს.

ლავა გეგეგორი



ლაურა მანაღუ



ვიტო მანინი

# ტრენსპორტი აუზის ბარათი

**ტრენსის** 25-მეტრიან აუზში გუშინ დასრულებული ევროპის მოცურავეთა ჩემპიონატი კიდევ ორი მსოფლიოს რეკორდით აღინიშნა. შვედების პირველ დღეს ავსტრიელი მარკუს როგანის მსოფლიოს რეკორდს (200 მეტრზე გულადა — 1:50,43), მეორე დღეს ფრანგი ლაურა მანაღუს ასეთივე მიღწევა მოჰყვა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 3:56,79.

მსოფლიოს რეკორდით თავი გამოიჩინა ნიდერლანდელ ქალთა „კვარტეტმა“ რომელმაც 4X50 მეტრზე კომპინირებულ ესტაფეტაში 1:47,44 — იმარჯვა. რუსმა იური პრილუკოვმა 400 მეტრზე თავისუფა-

ლი სტილით ცურვაში ევროპის რეკორდის დამყარების შემდეგ (3:37,81) ასპარეზობის მეორე დღესაც ამავე სტილით 1500 მეტრზე ცურვაში გამოიჩინა თავი. მან აქაც ევროპის რეკორდი დაამყარა — 14:27,12.

პრილუკოვს მთელი 8,82 წამით ჩამორჩა ბრიტანელი დევიდ დელისი. თუმცა, გამარჯვებული შედეგი საკმაოდ შორსაა (17 წამით) ავსტრალიელი გრანტ ჰაკეტის მსოფლიოს რეკორდისგან (14:10,10).

გუშინ ტრენსტში კიდევ ერთი ევროპის რეკორდი დამყარდა. ეს შესძლო ფილიპო მანინიმ, ვინც 100 მეტრი თავისუფალი სტილით 46,52 წამში გაცურა და ოქროს მედალი მოიპოვა.

# რეპულარული ჩემპიონატი

## დომინიკ დომინატორის დომინანტობა

**9 დეკემბერი**  
3:2 **რეპულარული**  
2:1 0:0 0:1 0:0 1:0  
3 **დომინატორის სერიები**

1:0 ნესლენდი (2), 1:1 შეფერი (4), 2:1 ჰ. სედინი (18), 2:2 მესაროში (46), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: დ. სედინი  
**თამაშის** ბედი მხოლოდ ოვერტიმში რომ გადაწყვედა, „ოტავა“ მეკარე დომინიკ ჰაშეკს უნდა უმადლოდეს. უმცირესობაში 14-ჯერ დარჩენილ სტუმართა კართან უამრავი მომენტი შეიქმნა, მაგრამ 40 წლის „დომინატორი“ ისე ირჯებოდა, მისი საუკეთესო წლები გაუახსენდებოდათ. მან ტოდ ბერტუცი-სთან შეჯახების შემდეგაც კი არ დატოვა ყინული. მხოლოდ ბულიტების სერიაში შეძლო დანიელ სედინმა ჰაშეკის მოტყუება.

**5:0 ჯეისონი 3:4 კოლორადო**  
0:3 2:0 1:0 0:0 0:1  
**3:1 დომინატორის სერიები**  
0:1 ბრიუნტი (4), 0:2 საკვი (17), 0:3 ბრიუნტი (19), 1:3 პანდოლო (26), 2:3 ჯიონტა (28), 3:3 გადამწყვეტი ბულიტი: ლაქსონენი  
**უნიკალური** შემთხვევა — 14 ბულიტიდან ზუსტი მხოლოდ ერთადერთი, ანტი ლაქსონენის მიერ შესრულებული აღმოჩნდა!  
**ატლანტა 5:2 კოლორადო**  
1:1 3:0 1:1  
1:0 სავარი (6), 1:1 ბალაშტივი (20), 2:1 პეტროვიცი (26), 3:1 პეტროვიცი (27), 4:1 ოზენი (28), 4:2 ფურდუვი (46), 5:2 პეტროვიცი (59)

**ფარმაკლუზში** ექსმატჩიანმა გადასახლება მონარდ პეტროვიციზე დადებითად იმოქმედა — დაბრუნდა და მესამე მატჩშივე პეთორიქი შეასრულა.  
**3:3 ვანდერპოლი 3:4 დებროცინი**  
1:1 1:1 1:2  
1:0 ოვეჩნი (6), 1:1 ზეტერბერგი (19), 2:1 პეტინგერი (23), 2:2 ზეტერბე-

რი (26), 2:3 დაცოვი (45), 2:4 ლი-დსტროიმი (58), 3:4 ჰიუარდი (60)

**10 დეკემბერი**  
სან ხოსე 4:3 პაროლინა  
0:0 2:1 2:2  
1:0 ჯ. ტორტონი (25), 1:1 ბრინდამორი (27), 2:1 ჩიჩუ (34), 3:1 ეკმანი (46), 4:1 ჩიჩუ (46), 4:2 სტალი (48), 4:3 კრ. ადასი (58)

„სან ხოსეს“ რიგებში 5 მატჩი ჩაატარა ვო ტორტონმა და უკვე კლუბის რეკორდს დაუფულა. ახალ კლუბში უკლებლო ყველა თამაშში აგროვებს ქულებს, რაც გუნდისთვის სეზონში ყველაზე საუკეთესო შედეგია. ამჯერად ჯომ ყველაზე მეტი, 4(1+3) ქულა დააგროვა.

„დემტონისგან“ ბოძებული ოსტატობა აქვს. ისეთ პასებს გაძლევს, რომ ძნელია, კარგად არ დაარტყა. ერთი-ორი კი აუცილებლად ბადეში მოხვდება, — თქვა ნამატჩევს მისმა მუდმივმა პარტნიორმა ვონატან ჩიჩუმ, რომელმაც ღუბლი შეასრულა.

**ლოს ანჯელესი 3:1 ფლორიდა**  
1:0 1:0 1:1  
1:0 დემიტრა (19), 2:0 დემიტრა (35), 3:0 გამალირი (45), 3:1 ნუინდოვი (49)  
**ფილადელფია 3:2 მინესოტა**  
1:0 1:1 1:1  
1:0 ფორსბერგი (11), 2:0 იუნსონი (29), 2:1 შულცი (33), 2:2 უაიტი (45), 3:2 რადიოვიცი (60)

**მონრეალი 3:5 ანაჰაიმი**  
1:3 1:2 1:0  
0:1 კონოპა (9), 1:1 ზედნიცი (12), 1:2 სიკორა (15), 1:3 ხალეი (19), 1:4 პედ-სტროიმი (28), 2:4 პერფოცი (29), 2:5 რ. ნიდერმაიერი (34), 3:5 რაი-დერი (54)  
**აილენდერსი 3:2 ედმონტონი**  
0:1 1:0 1:1 0:0 1:0  
**3:1 დომინატორის სერიები**  
1:0 პიზანი (14), 1:1 ეშამი (36), 2:1 ჰან-ტირი (51), 2:2 პრონგერი (59), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: პანტერი

**ტორონტო 1:2 დალასი**  
0:2 0:0 1:0  
0:1 კლემი (7), 0:2 ლეპტინენი (9), 1:2 სუნდინი (52)

**პიტსბურგი 4:3 კოლორადო**  
2:1 1:1 1:1  
1:0 რევი (11), 1:1 შეიდევი (17), 2:1 ტარ-ნსტროიმი (19), 3:1 კრიტენსენი (22), 3:2 ჰაინოტი (35), 4:2 ტელბოტი (53), 4:3 სვატოშო (54)

**ტამპა 4:3 ნეშვილი**  
0:0 2:1 2:2  
0:1 ტიმონენი (26), 1:1 ანდრიუვიცი (30), 2:1 ხან ლუი (18), 3:1 სიდორი (26), 4:1 ლეკავალი (50), 4:2 სტივენსონი (52), 4:3 პოლი (60)

**სანტ ლუისი 4:5 რეინჯერსი**  
1:1 1:1 2:2 0:1  
1:0 ტკაჩუკი (16), 1:1 რუჩინსკი (17), 1:2 სტრადევიცი (26), 2:2 ტკაჩუკი (36), 2:3 იაგრი (50), 3:3 რაიკროფტი (51), 3:4 პრუხა (57), 4:4 სილინგერი (60), 4:5 რუჩინსკი (62)

